სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 141

2019 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 მარტის N291 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნტის, „ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 ივლისის N86 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N1631075; 29.11.2019) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსში გამარჯვებული პროექტები:

N	შიფრი	პროექტის სათაური
1	ERCF-19-058	სამეცნიერო-ტექნოლოგიური საფუძველების შემუშავება და კვლევების ჩატარება ნანომასალების სინთეზირების მიმართულებით, ინოვაციური პლანარული მაგნეტრონული გაფრქვევის მოწყობილობების გამოყენებით
2	ERCF-19-066	ფარმაკორეზისტენტული ეპილეფსიების დროს ეპილეფსიური კერისა და ნეირონულ ქსელებში ეპილეფსიური აგზნების გავრცელების გზების დადგენა ჯანაშია-ლაგვილავას ალგორითმის გამოყენებით - პილოტური კვლევა
4	ERCF-19-055	ფსიქიკა–სხეულის შეხვედრა: ექსტროსპექტული დიგიტალური შეხებით კომუნიკაცია

2. გამარჯვებული პროექტის ავტორებმა არაუგვიანეს 2019 წლის 5 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტი და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სხვა სარგებელი;

ბ) თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხის მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2019 წლის 15 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია